

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №4

ქ. მარტვილი

5 მარტი, 2021 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე დამთავრდა 14:30 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსი გაბისონია, ალექსანდრე ახვლედიანი, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლაშა ქობალია ლევან სურმავა, ელდარ თოდუა, რომან ფონიავა, კობა დარჯანია, გიორგი ხორავა, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ირაკლი ჯამბურია, მიხეილ ნაჭყებია, რობერტ კაკულია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უფროსის მ/შ ბონდო თოფურია, მარტვილის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით გააცნო სხდომის მონაწილეებს და სთხოვა აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაეგლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის დღის წესრიგის პროექტი დასამტკიცებლად დასვა კენჭისყრაზე.

კეჭისყრის შედეგი:

მომხრე 20 წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მამარტის № 8 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 5 თებერვლის №168 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 990000 ლარი. გაეროს განვითარების ფონდის და მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს აგრო-ბაზრის მშენებლობა. აღნიშნული სამუშაოს დასაფინანსებლად 2020 წლის გაეროს განვითარების ფონდა გამოგვიყო 40000 ლარი, ხოლო მიმდინარე წელს გამოგვიყო 20000 ლარი. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეტანია ცვლილება 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსავლებში.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს საკითხს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეგლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის №5 დადგენილება სხდომის ოქმს თან ერთვის/

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია